საქართველოს ოკუპირებული ტერიტორიებიდან დევნილთა, შრომის, ჯანმრთელობისა და სოციალური დაცვის მინისტრის

# ბ რ ძ ა ნ ე ბ ა

KA030116575530421

**№ 01-405/ო** **07 / ოქტომბერი / 2021 წ.**

## შეზღუდული შესაძლებლობების მქონე ბავშვთა მომსახურებებისათვის იურიდიული პირ(ებ)ის გამოვლენის მიზნით კომისიის შექმნისა და მისი მუშაობის ორგანიზების შესახებ

„სააღმზრდელო საქმიანობის ლიცენზირების შესახებ“ საქართველოს კანონის მე-3 მუხლის, „საქართველოს ოკუპირებული ტერიტორიებიდან დევნილთა, შრომის, ჯანმრთელობისა და სოციალური დაცვის სამინისტროს დებულების დამტკიცების შესახებ“ საქართველოს მთავრობის 2018 წლის 14 სექტებრის №473 დადგენილებით დამტკიცებული დებულების მე-6 მუხლის მე-2 პუნქტის „ბ“, „ო“ და „ჟ“ ქვეპუნქტებისა და 21-ე მუხლის საფუძველზე,

**ვბრძანებ:**

1. შეიქმნას შეზღუდული შესაძლებლობების მქონე ბავშვთა მომსახურებებისათვის იურიდიული პირ(ებ)ის გამოვლენის მიზნით კომისია N1 დანართის შესაბამისად.

2. დამტკიცდეს შეზღუდული შესაძლებლობების მქონე ბავშვთა მომსახურებებისათვის იურიდიული პირ(ებ)ის გამოვლენის მიზნით კომისიის მუშაობისა და გადაწყვეტილების მიღების წესი N2 დანართის შესაბამისად.

3. ბრძანება ძალაშია ხელმოწერისთანავე.

საქართველოს ოკუპირებული ტერიტორიებიდან დევნილთა, შრომის, ჯანმრთელობისა და სოციალური დაცვის მინისტრი

ხელმოწერილია/ შტამპდასმულია ელექტრონულად

ეკატერინე ტიკარაძე